მირანდა ლაბაძე

# ზემო იმერეთის შუა და ზედა პალეოლითის ძეგლები*

## შესავალი

საქართველო მდებარეობს ევრაზიაში, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე და გავრცობილია კავკასიონის სამხრეთ კალთის შუა და დასავლეთ ნაწილში. მისი ტერიტორია, გეოგრაფიული მდებარეობის გამო, გზასაყარია აზიასა და ევროპას შორის. ეს რეგიონი ბიოგეოგრაფიული რეფუგიუმი იყო, რომელიც შემორჩენილია ზედა პლეისტოცენის (130 000 წ. წინ) ეპოქიდან. რეგიონი წარმოადგენდა გეოგრაფიულ „ჩიხს", სადაც არეალის სიმცირის გამო სხვადასხვა კულტურები თანაარსებობდნენ.

მესამეული გეოლოგიური ეპოქის შუა ხანებში დიდი კავკასიონი სარმატიის ზღვის ზედაპირზე ამოზიდულ დიდ, წაგრძელებულ კუნძულს წარმოადგენდა. ამიერ- და იმიერ- კავკასია კი წყლით იყო დაფარული. ამ ეპოქის დასასრულს კი ხმელეთი იმდენად ამოიზიდა, რომ კასპიისა და შავი ზღვები სამხრეთის მხრიდან ერთმანეთს მოსწყდნენ და მათ შორის კავკასიის ყელი გაჩნდა. მესამეულიდან მეოთხეულზე გადასვლის პერიოდში საქარ-თველოში ხელსაყრელი პირობები შეიქმნა, რათა წარმოშობილიყვნენ უმაღლესი ფორმის ძუძუმწოვრები და მათ შორის, ბოლოს, ადამიანიც. პალეოანთროპოლოგია ამტკიცებს, რომ უძველესი ადამიანები უნდა წარმოშობილიყვნენ ადამიანის მსგავს მაიმუნთა ერთი ან რამდენიმე უძველესი სახეობებისგან, ასეთ სახეობებს ეკუთვნიან: დრიოპითეკი, რამაპითეკი, ავსტრალოპითეკი და სხვ. მათ ნაშთებს მეცნიერებმა უმეტესწილად თბილი და ცხელი ქვეყნების ტერიტორიაზე მიაკვლიეს. დასაშვებია, რომ ერთ-ერთ ასეთ სახეობას უდაბნოპითეკი ანუ უდაბნოელი მაიმუნიც წარმოადგენდა. ეს სახეობა აღმოჩენილი იქნა საგარეჯოს რაიონში, დავით გარეჯის უდაბნოში და სახელიც აქედან წარმოდგება. აღმოჩენილია ამ მაიმუნის ორი საძირე კბილი ქვედა

---

* საბაკალავრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად. სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი პაატა ბუხრაშვილი. თბილისი, 2012

ყბის ნაშთითურთ. ეს აღმოჩენა გვაფიქრებინებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზეც შეიძლება მიმდინარეობდა ადამიანის ჩამოყალიბების პროცესი, ანუ ადამიანის მაგვარი მაიმუნის გაადამიანება. ამ შეხედულებას კიდევ უფრო განამტკიცებს ბოლო ხანებში დმანისში გაკეთებული აღმოჩენა. იპოვეს სახეობა, რომელსაც ქართველი ადამიანი (Homo georgicus) უწოდეს, იგი არის გარდამავალი სახეობა მარჯვე ადამიანსა (Homo habilis) და გამართულ ადამიანს (Homo erectus) შორის.

ადამიანის მსგავს მაიმუნთა ფიზიკური და გონებრივი განვითარებისა და მათი ადამიანებად გადაქცევის პროცესში ძირითადი როლი შეასრულა მიწაზე ცხოვრებამ, ოთხი ფეხიდან ორ ფეხზე გადასულმა ამართულმა სიარულმა, მეტყველებამ და შრომამ.

ადამიანის წარმოშობა და მისი განვითარება მხოლოდ მეოთხეულ პერიოდთან არის დაკავშირებული. ამის გამო ამ პერიოდს ანთროპოგენურ პერიოდსაც უწოდებენ, მეოთხეულ პერიოდში გამოყოფენ ძველ მეოთხეულს ანუ პლეისტოცენს და ახალ მეოთხეულს, ჰოლოცენს ანუ თანამედროვე გეოლოგიურ პერიოდს. პლეისტოცენს, რომელზედაც თითქმის მთელი პალეოლითი მოდის, სხვაგვარად მყინვარულ პერიოდსაც უწოდებენ, რადგან ამ პერიოდის ადამიანის ყოფაცხოვრებაზე და მის გარემო პირობებზე დიდ გავლენას ახდენდა პოლარული მყინვარები, მათი პერიოდული მოძრაობა და ამ მოძრაობით გამოწვეული ცვლილებები ბუნებაში. სწორედ ამ მყინვარების გამო შეიხიზნა პირველყოფილი ადამიანი გამოქვაბულებსა და ეხებში.

როგორც ვიცით, ქვის ხანა იყოფა სამ პერიოდად: პალეოლითი, მეზოლითი და ნეოლითი. პალეოლითი კი თავის მხრივ ასევე იყოფა სამად: ქვედა, შუა და ზედა, სწორედ პალეოლითა ის პერიოდი, როდესაც მოხდა ადამიანის ჩამოყალიბება. საქართველოს ტერიტორიაზე ყველა პერიოდისთვის დამახასიათებელი ძეგლებია წარმოდგენილი, დაწყებული წინა პალეოლითური პერიოდით ანუ ოლდუვაის კულტურით დამთავრებული ზედა პალეოლითით. საქართველოში დღეისთვის აღმოჩენილია დაახლოებით ქვედა და ზედა პალეოლითური 280 სადგომი. თუ ამ რიცხვს დავუმატებთ დაახლოებით 130 ზედა პალეოლითურ და მეზოლითურ ადგილსამყოფელს და გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს ტერიტორია 70.000 კმ$^2$ შეადგენს და მისი რელიეფის საკმაოდ დიდი ნაწილი მთაგორიანია და მარადიული თოვლით არის დაფარული, ნათელი გახდება, რომ ეს ტერიტორია ინტენსიურად იყო ათვისებული პირველყოფილი ადამიანის მიერ ძველი ქვის ხანაში [1].

მთლიანად, საქართველოს ტერიტორიაზე დადგენილია პალეოლითური ძეგლების გავრცელების ექვსი ძირითადი რაიონი: 1) შავი ზღვისპირა სანაპირო (აფხაზეთის ჩათვლით); 2) მდ. რიონ-ყვირილას აუზი; 3) მდ. მტკვრის მარცხენა სანაპირო, შიდა ქართლი; 4) მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ქვემო ქართლი; 5) ჯავახეთის ზეგანი; 6) მდ. იორ-ალაზნის აუზი [2]. ქვედა პალეოლითური სადგომები დადგენილია ექვსივე რეგიონში. ეს განპირობებული იყო ამ პერიოდში ხელსაყრელი პირობების არსებობით. მდიდარი ფაუნა და ფლორა, იარაღის დასამზადებლად საჭირო ნედლეულის საბადოები, ბუნებრივი თავშესაფრების – მღვიმეებისა და ეხების სიმრავლე, ზომიერი კლიმატური პირობები. ყველაფერი ეს ხელს უწყობდა პირველყოფილ ადამიანს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე განსახლებულიყო. მდ. რიონ-ყვირილას აუზი მდიდარია ბუნებრივი და ნახევრად ხელოვნური მღვიმეებითა და გამოქვაბულებით. სწორედ ეს ადგილები წარმოადგენდა პირველყოფილი ადამიანის თავდაპირველ საცხოვრისს. მღვიმეებსა და გამოქვაბულებში, მათი ბუნებრივად დაცულობის გამო, კარგად არის შემორჩენილი კულტურული ფენები.

საქართველოს პალეოლითის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და ჯერაც გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს საკითხი იმერეთის ქვედა, შუა და ზედა პალეოლითის წარმოშობის, გავრცელებისა და განვითარების შესახებ. თუმცა ბოლო დროს აღმოჩენილმა ძეგლებმა და მათზე დაფიქსირებულმა უწყვეტმა კულტურულ-ქრონოლოგიურმა სვეტმა საშუალება მისცა მეცნიერებს თვალი მიადევნონ, როგორც ქვედა, ასევე შუა და ზედა პალეოლითის ინდუსტრიის განვითარებას.

საქართველოს ტერიტორია მეტად მდიდარ და მარავალფეროვან რეგიონს წარმოადგენს პალეოლითის კულტურების მხრივ. იგი თითქმის მუდმივად იყო ათვისებული პირველყოფილი ადამიანის მიერ. ამ ძეგლების და კულტურების კვლევა საშუალებას მოგვცემს, შესწავლილი იქნას ადამიანის წარმოშობის, განსახლების, თანამედროვე ადამიანის ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გამოჩენის და მათი მიგრაციების გზების საკითხები. ზემო იმერეთის ტერიტორია კი ამ საკითხის შესწავლაში უპირველეს ადგილას დგას. ამ ტერიტორიაზე ძალზედ ბევრი ძეგლია აღმოჩენილი, რომელთა შესწავლითაც შესაძლებელი იქნება თვალი მივადევნოთ პირველყოფილი ადამიანის ცხოვრების და განვითარების დიდ პერიოდს.

ჯერ კიდევ XIX ს დასასრულსა და XX ს დასაწყისის რუსეთის ცნობილი ანთროპოლოგი და არქეოლოგი დ. ანუჩინი და ცნობილი გერმანელი ანთროპოლოგი რ. ვირხოვი ფიქრობდნენ, საქართველოში და საერთოდ, კავკასიაში ქვის ხანს არარსებობას. მდ. ყვირილას აუზმა მეცნიერების ყურადღება მიიპყრო XIX ს 70-ანი წლებიდან. ა. ბერნაცკიმ ქ. ჭიათურის მახლობლად სოფ. რგანის ტერიტორიაზე ერთ-ერთ მღვიმეში განათხარი ადამიანისა და მღვიმური დათვის ძვლოვანი ნაშთები აღმოაჩინა. პოლონელმა მკვლევარმა ს. კრუკოვსკიმ 1916-17 წწ. დაიწყო „გვარჯილა კლდის" გათხრა. 1926 წ. გ. ნიორაძემ ხარაგაულის რაიონში მდ. ჩხერიმელას მარჯვენა ნაპირზე მიაკვლია ზედა პალეოლითურ მღვიმეს „დევისხვრელს". 1953 წ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში შეიქმნა რგანის მიზნობრივი არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ალ. კალანდაძე. 1957-1992 წწ. საქართველოს სახეკმწიფო მუზეუმის ექსპედიცია დ. თუშაბრამიშვილის ხელმძღვანელობით აწარმოებდა კვლევა-ძიებას ჭიათურა-საჩხერის რაიონებში. ამ პერიოდიდან მოყოლებული, მდ. ყვირილას აუზში გამოვლინდა 70-ზე მეტი ძეგლი.

1997 წლიდან საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის რიონ-ყვირილას აუზის ძველი ქვის ხანის შემსწავლელი კომპლექსური არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმ. ნ თუშაბრამიშვილი) თანამშრომლობს უცხოურ სამეცნიერო ცენტრებთან და მათთან ერთად აწარმოებს ქვის ხანის სხვადასხვა პერიოდების ძეგლების როგორც საველე, ისე სამეცნიერო კვლევას. ეს სამეცნიერო ცენტრებია: ჰარვარდის უნივერსიტეტი (აშშ), იერუსალიმის ებრაული მუზეუმი (ისრაელი), საფრანგეთის პრეისტორიის კვლევის ცენტრი. 2007 წლიდან კი ამ პროექტში აქტიურად ჩაერთო ილიას უნივერსიტეტიც, რომლის დოქტორანტები, მაგისტრანტები და ბაკალავრიატის სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ ამ პროცესში. ზემო იმერეთის ტერიტორიაზე განახლებულმა ექსპედიციებმა საშუალება მისცა მეცნიერებს კიდევ ახალი და საინტერესო ძეგლები აღმოეჩინათ. მათგან აღსანიშნავია რამდენიმე ძეგლი, სადაც გვხვედა შუა და ზედა პალეოლითის ძალიან მნიშვნელოვანი ფენები. ეს ძეგლებია: ჯრუჭულა, სამგლე კლდე, ჯიეთის ღია სადგომი, ორთვალა კლდე, უნდო კლდე, ბონდის მღვიმე.

## 1. ჯრუჭულას მღვიმე

მდ. ჯრუჭულას სათავე მდებარეობს რაჭის ქედის სამხრეთ კალთაზე, მწვერვალ ხოხათის აღმოსავლეთ ნაწილში, ზღვის დონიდან დაახლოებით 2000 მ სიმაღლეზე. ჯრუჭულას ხეობის ქვემო წელის ორივე ნაპირების ამგები კირქვის ქანები რამდე-ნიმე ათეული მეტრის სისქის შრეებადაა განლაგებული. კირქვის შრეები საკმაოდ მკვეთრადაა დაქანებული ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. მდ. ჯრუჭულას დინების მიმართულებით (იხ. სურ. 1). მდ. ჯრუჭულას მარცხენა, განსაკუთრებით კი მარჯვენა ნაპირის ამგებ კირქვის ქანებში მრავლადაა კარსტული გამოქვაბულები და ფარდულები. აღნიშნული ხეობის და საერთოდ ჭიათურის რაიონის ბუნებრივ გამოქვაბულთა წარმოშობაში გადამწყვეტი როლი მიენიჭება ეროზიულ და კოროზიულ პროცესებს, ხოლო მიწის ქვეშა კარსტულ ფორმათა მორფოლოგიას განსაზღვრავს ნაპრალების მიმართულება და ადგილმდებარეობის საერთო ტექტონიკური პირობები. ჭიათურის რაიონის მიწისქვეშა კარსტული ფორმები, რომლებიც ზედა ცარცის მძლავრ კირქვებშია გამომუშავებული, ლ. მარუაშვილის კლასიკაციით მიეკუთვნება ბუნებრივ გამოქვაბულთა ჯგუფს [3].

ერთ-ერთი ამ გამოქვაბულთაგანია სოფ. ზემო ზოდის ტერიტორიაზე, ხვედელიძეების უბანში, მდ. ჯრუჭულას მარჯვენა ნაპირზე მდებარე ჯრუჭულას გამოქვაბული. იგი ზღვის დონიდან 600 მ, ხოლო მდინარის დონიდან 35 მ სიმაღლეზე მდებარეობს. გამოქვაბულის შესასვლელი მიმართულია ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. კარგადაა განათებული და მშრალია. გამოქვაბულის სიგანე შესასვლელთან 8.8 მეტრია, ასეთივე სიგანისაა გამოქვაბულის ბოლო ნაწილი სტალაქტიურ ჩამონაღვენთებამდე. გამოქვაბულის სიგანე 11.20 მ აღწევს, სიღრმე 17 მეტრია. შესასვლელთან, სამხრეთ-აღმოსავლეთის კედელს აქვს 3 მ სიგანის და 6.8 მ სიგრძის სეგმენტური მოყვანილობის „თარო", რომელიც გამოქვაბულის დღევანდელი იატაკიდან 1.3 მ სიმაღლეზეა. მსგავსი „თარო" მოპირდაპირე, ჩრდილო-დასავლეთის კედლის დასაწყისშიცაა. ჩრდილო-დასავლეთის კედელს იატაკის ზედაპირიდან 1.5 მ სიმაღლეზე აქვს საკმაოდ მოზრდილი ხვრელი, რომელიც გამოქვაბულის ზევით, მიწის ზედაპირზე ამოდის. გამოქვაბულის ბოლო ნაწილში, მარჯვენა მხარეზე, სტალაქტიტური და სტალაგმიტური წარმონაქმნია, რომელსაც დაახლოებით 12 $მ^2$ უკავია. გამოქვაბულის ჭერი, შესასვლელთან 5.5 მ სიმაღლეზეა, ხოლო ბოლოში, იატაკის თანდათანობითი ამაღლების გამო, ერთ

მეტრ სიმაღლეზეა. მღვიმის საერთო ფართობი 127 $მ^2$-ა. მღვიმე აღმოჩნდა 1957-58 წწ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ყვირილის ხეობის პალეოლითური ექსპედიციის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობდა დ. თუშაბრამიშვილი. გათხრების პროცესში მიღებულია ერთი გენერალური, გრძივი და რვა განივი ჭრილი (იხ. სურ. 2). ძეგლზე მთლიანად დაფიქსირებულია 4.7 მ სიმძლავრის 17 ლითოლოგიური ფენა. მათგან ბ-ნ დ. თუშაბრამიშვილმა ფენები II-VI,VII,VIIა და XI გააერთიანა I – შუა პალეოლითურ ფენად, ხოლო ფენები IX-X,XI-ს ქვედა ჰორიზონტი და XII-XIV II – შუა პალეოლითურ ფენად. ამ კულტურულ ფენებს შორის 1 მ-ანი სტერილური ფენაა. ცენტრალური ღერძის გასწვრივ გაკეთებულ გრძივ ჭრილში დაფიქსირდა 14 ფენა – 2, 3, 4, 5, 6, 10, და 12 ფენები შეიცავენ კულტურულ ნაშთებს. გამოქვაბულის შიდა ფართობზე გაკეთებული იქნა სამი განივი ჭრილი: 1-1,3-3 და 6-6 კვადრატების გასწვრივ. 3-3 კვადრატების განივ ჭრილში 11 ფენაა დაფიქსირებული 2, 3, 4, 5, 8 და 10 ფენები შეიცავს კულტურულ ნაშთებს. 6-6 კვადრატების ჭრილში 15 ფენაა დაფიქსირებული მე-2 ფენაში აღმოჩნდა პალეოლითური კერის ნაშთი. 2, 3, 4, 5, 6, 11 და 13 ფენები შეიცავს კულტურულ ნაშთებს (იხ. გეგმა, სურ. 3). საბოლოოდ ეს ფენები გააერთიანეს სამ კულტურულ ფენად.

კულტურული ფენებში ძვლისა და ქვის მასალის გავრცელება არ არის ერთნაირი. პირველ ფენაში კულტურული ნაშთები მნიშვნელოვნად მცირეა წინა ფართობიდან 4-4 კვადრატების დასაწყისამდე. 4-4 კვადრატებიდან გამოქვაბულის სიღრმისაკენ წარმოების ნაშთების რაოდენობა მატულობს. კულტურულ ფენებში მოპოვებულია საკმაოდ მრავალრიცხოვანი ძვლოვანი მასალა, წარმოდგენილია მეოთხეული ფაუნის შემდეგი სახეობები: ცხენი, დომბა, გამოქვაბულის დათვი, დაღესტნის ჯიხვი, კეთილშობილი ირემი, მღრღნელი, გარეული ღორი, შველი, მაჩვი, არგალი. აღნიშნული სახეობებიდან ყველაზე მეტი წარმოდგენილია გამოქვაბულის დათვის ძვლები. გამოქვაბულის ფაუნა არაფრით არ განსხვავდება ზედაპალეოლითური ფაუნისაგან.

მღვიმეში არქეოლოგიური მასალა წარმოდგენილია კერებით, ნაკერალი შრეებით, წარმოებისა და სამზარეულო გადანაყარითა და ქვის იარაღებით. პირველ კულტურულ ფენაში აღმოჩენილია კაჟის, არგილიტის და სხვა ჯიშის ქვების 200-ზე მეტი სხვადასხვა სახის ნაწარმი, მათ შორის: ნუკლეუსები, ანატკეცი-ანამტვრევები და ლამელისებური ანატკეცები, წვეტანები, დანები, საჭრისები, საფხეკები და სხვ. იარაღებს შორის წამყვანი ადგილი უკავია სხვადასხვა სახის წვეტანებს. მათი დიდი ნაწილი დამზადებულია ლევალუას ტიპის ანატკეცებზე და გამოირჩევა დამუშავების

სრულყოფილი და მეტად მაღალი ტექნიკით. საფიქრებელია, რომ ზოგი მათგანი შუბის პირად იყო გამოყენებული [4] (იხ. სურ. 4).

მეორე კულტურულ ფენაში აღმოჩენილი ნივთების 70% წარმოების გადანაყარია. იარაღის წამყვანი ფორმაა სახოკი (იხ. სურ. 5). წარმოების ნაშთების დიდი ნაწილი თავმოყრილია კერის მიდამოებში. ფენის სიმძლავრე და წარმოების ნაშთები მიგვითითებს იმ გარემოებაზე, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს მუდმივ სადგომთან, რითაც აღნიშნული ფენა მნიშვნელოვნად განსხვავდება ზედა ფენისაგან, რომელიც, როგორც იარაღთა შემადგენლობიდან ჩანს, წარმოადგენდა მონადირეთა დროებით სადგომს [5].

მესამე კულტურულ ფენაში დაუმუშავებელი ანატკეცლამელების რაოდენობა გაცილებით მეტია იარაღან შედარებით. იარაღებიდან გვხვდება სახოკები, წვეტანები და დანები. ნედლეულად უმეტესწილად გამოყენებულია არგილიტი.

ჯრუჭულას გამოქვაბულის გათხრების ყველაზე მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენს ზედა საძირე კბილი, რომელიც ზრდადამთავრებულ ადამიანს ეკუთვნის. კბილის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ იგი ეკუთვნის ნენდერტალელ ადამიანს. შესაძლებელია ჯრუჭულას ნეანდერტალელი ადამიანი იყოს პალესტინელი წარმოშობის (იხ. სურ. 6).

დ. თუშაბრამიშვილი ჯრუჭულის მღვიმეს ათარიღებს გვიან და ფინალური შუა პალეოლითით [6]. ბოლო პერიოდში მიღებული თარიღია 274.000 წ.

## 2. სამგლე კლდე

სამგლე კლდე მდებარეობს მდ. ჯრუჭულას ხეობაში, მის მარჯვენა ნაპირზე, მდინარის დონიდან 33-35 მ სიმაღლეზე, იგი რამდენიმე ასეული მეტრითაა დაშორებული ჯრუჭულის მღვიმიდან. ძეგლი აღმოჩენილია 1962 წ. დ. თუშაბრამიშვილის მიერ და 1963-67 წწ. ითხრებოდა მის მიერვე. მღვიმე კარსტული წარმოშობისაა და შედგება ერთმანეთთან დაკავშირებული სამი მღვიმისაგან, სამხრეთით მცირე ზომის მღვიმეა. მეორე მღვიმე ჩრდილოეთიდან ეკვრის პირველს და გამოყოფილია მისგან სანახევროდ ჩამონგრეული კედლით. ორივე მღვიმეს საერთო ჭერი აქვს. მეორე მღვიმის უკან, დასავლეთით, საკმაოდ დიდი, ბნელი დარბაზია, რომლის კედლებში მრავლადაა ხვრელები „ჯიბეები“. სამხრეთისა და დასავლეთის კედლების კუთხეში ზედაპირიდან ჩამოტანილია ღორღნარევი თიხნარის უზარმაზარი გროვა, რომელიც მღვიმის ჭერამდე ადის. მესამე მღვიმე ბნელი და ნესტიანია, მისი ზომებია: სიგრძე – 23 მ, სიგანე – 13 მ, სიმაღლე – 6 მ. პირველი და მეორე მღვიმეების საერთო სიგანე 35 მეტრია,

მეორე მღვიმის სიღრმეა – 18 მ, სიგანე შესასვლელთან – 13 მ, ხოლო ცენტრალურ ნაწილში – 8 მ. მეორე და მესამე მღვიმეებს შორის 2.6 მ სიგანის გასასვლელია.

მღვიმეში გაითხარა ექვსი ლითოლოგიური ფენა და გამოიყო ოთხი კულტურული ფენა. ექვსი ლითოლოგიური ფენიდან ოთხი მუსტიერულ მასალას შეიცავს. ფენების სიმძლავრე მღვიმის სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვაგვარია, მაგრამ ძირითადად ჰორიზონტალურად არის დალექილი, გამონაკლისს წარმოადგენს პირველი ლითოლოგიური ფენა, რომელიც დაქანებულია სიღრმიდან ფლატესაკენ. ფენა, როგორც ჩანს, ძლიერადაა გადარეცხილი, რადგან, ზედა პალეოლითური ფენა განადგურებულია. მისი მცირე ნაშთები მიკვლეული იქნა მღვიმის გარეთ მიწის ზედაპირზე. ზედა პალეოლითურ მასალაში უმეტესწილად კაჟის ნივთებია, ასევე გვხვდება ობსიდიანის სამი ნივთი და ძვლის – ორი. მასალა ძირითადად წარმოების გადანაყარს წარმოადგენს. კაჟის ნივთებიდან წარმოდგენილია: ნუკლეუსები, ანამტვრევები, ანატკეცები, ლამელები. იარაღთა შორის წამყვანი ადგილი უკავია ზურგდაბლაგვებულ დანებს. მთრლი მასალის მხოლოდ 18.1% უკავია იარაღს. ძვლის იარაღები წარმოდგენილია სადგისით და მახათით, ორივე ლულოვანი ძვლის ანაპობზეა დამზადებული. სადგისის ღერო არაწესიერი ოვალური მოყვანილობის განივკვეთიანია, ხოლო წვერი მრგვალგანივკვეთიანი. ორივე ზედაპირი ზერელედ არის დამუშავებული, ეტყობა ოღრო-ჩოღრო ადგილები, შუაზეა გატეხილი, წვერი მოტეხილი აქვს. მახათიც მრგვალგანივკვეთიანია და ბოლო მასაც მოტეხილი აქვს.

ნუკლეუსები მოყავისფრო კაჟისაა. ნაპოვნია სამი ცალი, ერთი მათგანი ლევალუალურია და ქვედა ფენიდან უნდა იყოს მოხვედრილი. იგი სამკუთხა ფირფიტების მისაღებად არის განკუთვნილი. მეორე ნუკლეუსი პრიზმულია, მოყავისფრო კაჟისა, ეტყობა წრიული ატკეცის კვალი. მესამე ნუკლეუსიც პრიზმულია, დარტყმის მოედანი გლუვი აქვს და მიღებულია ორი ფირფიტის ატკეცის გზით. ნუკლეუსის ზედაპირიდან და გვერდებიდან ატკეცილია ერთი ფართო ფირფიტა და რამდენიმე მიკრო-ლამელა. ქვის იარაღებიდან აღსანიშნავია საფხეკები, ოთხი აღმოჩენილი საფხეკიდან ოთხივე სხვადასხვა ფორმითაა დამზადებული. ერთი მათგანი დამზადებულია ოვალური მოყვანილობის, ღია მოყავისფრო-მოვარდისფრო კაჟის მასიურ ანატკეცზე. ფართო ოვალური სამუშაო პირი დამუშავებულია სუბპარალელური რეტუშით. მეორე საფხეკი ღია მოყავისფრო კაჟისაა, ოვალურსამუშაოპირიანი, მაღალი სამუშაო პირი ჩამოყალიბებულია ციცაბო

რეტუშით. მესამე საფხეკი დამზადებულია მოყავისფრო, სწორი მოყვანილობის ლამელაზე. ბოლო მოტეხილი აქვს, გადატეხის ადგილას, მარჯვენა მხარეს ოდნავ რეტუშირებულია. მეოთხე საფხეკი ნაკეთებია მოყავისფრო კაჟის მასიურ ანატკეცზე და ზურგზე ეტყობა წინამორბედი ფირფიტების ატკეცის კვალი. დარტყმის მოედნის მოპირდაპირე მხარეს გაკეთებული ყოფილა ფართოპირიანი კლექტონური ანკოში, რომელიც შემდეგ შესწორებულია რეტუშით. წარმოდგენილი დანები იყოფა რამდენიმე ჯგუფად: 1) დანები მორკალული ზურგით, შატელპონის ტიპის; 2) დანები შატელპონის ატიპიური, შედარებით გაშლილი ზურგით; 3) გრავეტის ტიპის დანები; 4) მიკროგრავეტის ტიპის დანები; 5) დანა კუზიანი ზურგით, რომელსაც ბოლო სწორად აქვს წათლილი რეტუშით.

სამგლე კლდის შუა პალეოლითური ხანის მასალა, როგორც ტექტონიკური, ისე ტიპოლოგიური პარამეტრებით, მეტ-ნაკლებად ემსგავსება ჯრუჭულის მეორე და მესამე ფენის მასალას. აღსანიშნავია არგილიტისა და ანდეზიტის ნივთების შედარებით დიდი რაოდენობა. შუა პალეოლითურ ფენაში ასევე აღმოჩნდა ჩოპერები და ბიფასები, რაც მის არქაულობაზე მიანიშნებს. მღვიმეში ფაუნისტური ნარჩენები ძირითადად წარმოდგენილია მღვიმური დათვის ნაშთებით, ასევე აღსანიშნავია გიგანტური ირმის ნაშთებიც, რომელიც საქართველოს ფაუნისათვის იშვიათია. სამგლე კლდის მღვიმე თარიღდება შუა პალეოლითით.

## 3. ჯიეთის ღია სადგომი

პალეოლითური მასალის ღია ძეგლები (სადგომები, სახელოსნოები) კარგად არის წარმოდგენილი ზემო იმერეთში, ჭიათურის რაიონში ზემო იმერეთის პლატოზე, ჭიათურა-ზესტაფონის გზის გასწვრივ, გამოვლენილია ათეულობით სადგომი, რომლებიც სხვადასხვა პერიოდს მიეკუთვნება. პლატოზე უხვადაა კაჟის გამოსავლები, რომელიც წარმოადგენდა პირველყოფილი ადამიანისთვის იარაღის დასამზადებელ საჭირო მასალას. პლატოს ის ნაწილი, რომელიც მდ. ყვირილას მარჯვენა სანაპიროზეა ზღვის დონიდან 600-800 მ სიმაღლეს აღწევს. პლატოს კვეთს რაჭის ქედიდან ჩამომავალი მდ. ძუსა, ბუჯა, კაცხურა, რგანისწყალი და სხვ. ეს მდინარეები თავისი კანიონისებური ხეობებით პლატოს ამ ჩრდილო-დასავლეთ მხარეს ჰყოფს ქარაფოვანი კიდეებით შემოფარგლულ უბნებად – ზეგნებად.

თანამედროვე მცენარეული საფარი ძლიერაა განადგურებული ანთროპოგენური ფაქტორების გამო. პლატოზე გავრცელებულია

მუხის ტყეები, ასევე გვხვდება ჯაგ-რცხილა, კუნელი, ზღმარტლი, თხილი და სხვ. [7]. მდინარეთა ნაპირებზე ე.წ. ლეშამბიანი ტყეა, აქედან უმთავრესია შავი მურყანი და სხვადასხვა ტირიფი. მდ. ყვირილას შუა წელში მუხნარის განსაკუთრებული ტიპია, რომლის ქვეტყეში ჭარბობს თრიმლი [8]. მთლიანად ადგილობრივი ტყეები მიეკუთვნება შერეულ, ფართოფოთლოვან ტყეთა ჩრდილო-კოლხურ ვარიანტს და ხასიათდება მუხის სიჭარბით [9].

არც ფაუნითაა მდიდარი ჭიათურის რაიონი და მისი მიდამოები. ტყის ზონისათვის დამახასიათებელ ცხოველთა უმთავრესი ფორმებიდან აქ მხოლოდ რამდენიმე სახეა გავრცელებული, ჩლიქოსნებიდან აქ გვხვდება გარეული ღორი და ევროპული შველი. მტაცებლებიდან წარმოდგენილია კავკასიის დიდი დათვი, მურა დათვი, მგელი, ტურა, მთის მელა, ჩვეულებრივი ფოცხვერი, აღმოსავლეთის ფოცხვერი, ტყის კატა და სხვ. [10]. რაჭისა და მეზობელი მთების ალპურ ზონაში ჩლიქოსნებისგან ყურადღებას იპყრობს ჯიხვი, რომელნიც საერთოდ კავკასიონის ქედისთვის ენდემურია. აქ ბინადრობს სევერცოვის ჯიხვი და მცირე რაოდენობით არჩვი [11].

ამ ტერიტორიაზე რამდენიმე ათეული ღია სადგომი იქნა მიკვლეული, მაგრამ მათგან აღსანიშნავია ჯიეთის ღია სადგომი. ჯიეთის პალეოლითური მასალა აღმოჩენილი იქნა ჯიეთის ნაქალაქარის ტერიტორიაზე. იგი მდებარეობს ზემო იმერეთის პლატოს ფერდზე, ზღვის დონიდან 600-650 მ სიმაღლეზე, ქ. ჭიათურის პიონერთა სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე და მოიცავს პროფტექნიკური სასწავლებლისა და წინსოფლის ციხის გავაკებულ ფართობებს. მთლიანად მისი ფართობი, სავარაუდოდ, 10 ჰა-ზე მეტი უნდა იყოს. ძეგლი აღმოჩენილია საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმ. ჯ. ნადირაძე) და ითხრებოდა 1976-81 წწ. ამავე ექსპედიციის მიერ, როგორც ადრე და შუა მრინჯაოს ხანის სადგომი. შესწავლილ ტერიტორიაზე შენდებოდა ტექნიკუმის კორპუსები, ამიტომ ნაქალაქარის ეს ნაწილი ძლიერ დაინგრა. განადგურებას გადაურჩა სოფ. წინსოფლის ციხის მონაკვეთი. იქ სადაც ბრინჯაოს ხანის კულტურული ფენები გამოვლინდა დაღრმავება მოხდა 3 მ სიღრმეზე, ამავე თხრილში ჭიათურელი მოყვარული არქეოლოგის, რ. ფერაძის მიერ, რომელმაც დაზვერვის მიზნით გადაწყვიტა დედაქანამდე დასვლა, მე-7 ლითოლოგიურ ფენაში, დაახლოებით 6.5-7 მ სიღრმეზე, აღმოჩენილი იქნა ქვის მასალა. ნუკლეუსები 15 ც. მათში გამოიყოფა: 1) ლევალუალური ნუკლეუსი; 2) რეგულარული ნუკლეუსი; 3) ერთფუძიანი

ნუკლეუსი; 4)ორფუძიანი ნუკლეუსი; 5) დისკოიდური ნუკლეუსები; 6) ანატკეცზე ნაკეთები ნუკლეუსები. ანამტვრევები, ანატკეცები, ლამელები. იარაღებიდან აღსანიშნავია: წვეტანა, მუსტიეური წვეტანა, სახოკი, დანა, ორფაცეტიანი საჭრისი. მასალის შესწავლისას დადგინდა, რომ ქვის გაპობის ტექნიკაში შეიმჩნევა არქაული ელემენტები: კაჭარზე დამზადებული ნუკლეუსი, ანატკეცების გარკვეული ნაწილის დიდი ზომა, მასიურობა, კლექტონური ელემენტები, დარტყმის მოედნები დაქანებულია და ქვედა სიბრტყისადმი ბლაგვი კუთხით განლაგებული.

ძეგლის გეოგრაფიული მდებარეობა და მასალის საერთო, გარკვეულად არქაული იერი სავარაუდოს ხდის, რომ იგი შუა პალეოლითის შედარებით ადრეულ საფეხურს მიეკუთვნება [12].

## 4. ორთვალა კლდე

ორთვალა კლდე მდებარეობს მდ. ჯრუჭულას ხეობაში სოფ. პერევისაში. ზღვის დონიდან 500 მ და მდინარის დონიდან 35-40 მ სიმაღლეზე. ძეგლი აღმოჩენილია 1973 წ. დ. თუშაბრამიშვილის მიერ, იგი წარმოადგენს კარსტულ ეხს, რომელშიც ორი დარბაზი გამოიყოფა (იხ. სურ. 7). მათი საერთო სიგანეა 35 მ, სიღრმე 14.5 მ, სიმაღლე დიდი დარბაზის ცენტრში 7 მ, შესასვლელში 2 მ. იგი მშრალი და ნათელია (იხ. სურ. 8). გათხრილია დაახლოებით 40 მ$^2$ და გაკეთებულია სამი განივი და ორი გრძივი ჭრილი (იხ. სურ. 9). გაითხარა 11 ლითოლოგიური შრე და გამოიყო ოთხი კულტურული ფენა. მღვიმეში ასევე აღმოჩნდა ენეოლით-ადრებრინჯაოს პერიოდის მასალები. კულტურული ფენების დალექვის მეშვეობით შეგვიძლია დავადგინოთ რა პირობებში უხდებოდათ ცხოვრება პირველყოფილ ადამიანებს. მაგ.: მეოთხე ფენაში მღვიმური ნალექები ქვემოდან ზემოთ მკვეთრად მცირდება, აღნიშნული შრე სტერილურია. ეს ადასტურებს, რომ ადამიანმა, შესაძლოა, აცივებასთან დაკავშირებით მიატოვა მღვიმე და მასში დაგროვილი მასალა დარჩა პირვანდელ მდგომარეობაში. მესამე ფენაში კი მღვიმური ნალექების რაოდენობა იმატებს, რაც შესაძლოა კლიმატის ცვლილებასთან ანუ დათბობასთან იყოს დაკავშირებული. მეორე ფენაში კი ნალექები ორჯერ უფრო მცირეა, არ არის გამორიცხული, რომ ეს შეიძლება ახალ აცივებას უკავშირდებოდეს. პირველ ფენაში კი ნალექების რაოდენობა ისევ მატულობს, ეს საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ აღნიშნული ფენა გაცილებით თბილ კლიმატში დაილექა.

მღვიმეში ძვლოვანი მასალა საკმაოდ ცუდადაა შემონახული, იგი დაქუცმაცებული სახითაა წარმოდგენილი, ფაუნიდან გვხვდება: ჯიხვი, ბიზონი, მღვიმის დათვი.

ორთვალა კლდის მეხუთე ლითოლოგიურ ფენაში, დაახლოებით ოთხი მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა ადამიანის ქვედა, მეორე მარცხენა საძირე კბილი. კბილი კარგადაა შემონახული. საკმაოდ დიდი ზომისაა. საერთო ზომებითა და მასიურობით ძალიან ჰგავს საკაჟიას მღვიმის ნენდერტალელის კბილს.

პალინოლოგიური მასალის შესწავლით დადგინდა, რომ ქვედა ფენების დალექვის პეროიდში აქ განვითარებული იყო მუქი წიწვოვანი ტყეები. არქეოლოგიური მასალით ყველაზე მეტად მდიდარ VII-VI ფენების (იხ. სურ. 10) დალექვის დროს, ვითარდებიან შერეული ფართოფოთლოვანი ტყეები, სადაც წამყვან ადგილს მუხა და რცხილა იკავებს. აგრეთვე გვხვდება თხილი, მურყანი, წიფელი, თელა. შემდგომმა აცივებამ, როგორც სჩანს გამოიწვია მცენარეული საფარის ზოლის ქვემოთ გადმონაცვლება, რადგან V-IV ფენებში სჭარბობს ფართოფოთლოვანი ჯიშები, რომლებიც დამახასიათებელია მთის ტყის ზედა სარტყლისათვის.

ორთვალა კლდეში, როგორც ზედა, ისე შუა პალეოლითურ ფენებში, ნედლეულად ძირითადად გამოყენებულია თურონ-სენონის იარუსის მაღალხარისხოვანი კაჟი, რომლის საბადოები ძეგლიდან რამდენიმე კილომეტრში მდებარეობს. ძალზე მცირე რაოდენობით გვხვდება გაკაჟებული კირქვები, ბაზალტი და ანდეზიტი. იშვიათადაა გამოყენებული ობსიდიანი, რომელიც ჯავახეთიდანაა მოტანილი. მღვიმეში დადგენილი ცხრა პალეოლითური ფენიდან ორი ზედა პალეოლითს მიეკუთვნება შვიდი კი შუა პალეოლითს. მოპოვებული ქვის ნივთებიდან აღსანიშნავია ნუკლეუსები, ანატკეცები, ლამელები, სახოკები (იხ. სურ. 11). შუა პალეოლითურ ფენებში აღმოჩენილია დიდი რაოდენობით წარმოების გადანაყარი, როგორც სჩანს ადამიანი აქ მუდმივად სახლობდა და ადგილზევე ამზადებდა იარაღს.

მასალის აღწერილობა გვიჩვენებს, რომ ორთვალა კლდის სხვადასხვა ფენიდან მომდინარე ინდუსტრია გენეტიკურ კავშირში უნდა იყოს ერთმანეთთან [13]. როგორც ჩანს, მღვიმეში ერთი კულტურის მატარებელი ხალხი ცხოვრობდა.

ორთვალა კლდე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია, რადგან ძეგლზე დადასტურდა შუა და ადრე ზედა პალეოლითის უწყვეტი კულტურულ-ქრონოლოგიური სვეტი. ძეგლი თარიღდება 34.000 წლით.

## 5. უნდო კლდე

უნდოს მღვიმე მდებარეობს ჭიათურის რაიონში სოფ. ვაჭევის ტერიტორიაზე, ჭიათურიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით დაახლოებით 12 კილომეტრში, ვარხმელის ხეობაში მშრალი ხევის ძირიდან 90-100 მ, ხოლო ზღვის დონიდან 570 მ სიმაღლეზე. შესასვლელის სიმაღლეა 2 მ, სიგანე – 5 მ, ორიენტირებულია აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე. შესასვლელი აღმოსავლეთის მხრიდანაა. მღვიმე აღმოაჩინა 2006 წ. პროფ. ნ. თუშაბრამიშვილმა ადგილობრივი მცხოვრების ავთო ყიფშიძის ცნობის საფუძველზე. 2007 წ. მღვიმეში ჩატარდა პირველი სტაციონალური გათხრები. გათხრები მიმდინარეობდა ორ ფართობზე: 1) შიგნით შესასვლელთან (იხ. სურ. 12-13), წინა საველე სეზონზე გაკეთებული საძიებო თხრილების ადგილზე, სადაც ზედა პალეოლითური ფენები იყო გამოვლენილი და 2) მღვიმის წინა ფართობზე (იხ. სურ. 14). არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად ზედაპალეოლითურის გარდა, მღვიმეში შუაპალეოლითური ფენაც გამოვლინდა.

აღნიშნულ ფართობზე გაითხარა 1.9 მ სიმძლავრის ფენები, რომელთაგან ზედა პალეოლითური კულტურა წარმოდგენილია ნულოვანი ხაზიდან 0.8-1.3 მ, ხოლო შუა პალეოლითური – 2.15-2.70 მ სიღრმის მონაკვეთებში. ჭრილის სიღრმე 0-ის ხაზიდან 2.7 მ-ა. ლითოლოგიური ფენები წარმოადგენს თიხნარს, რომელიც მღვიმის წინა ფართობზე შევსებულია წვრილი ღორღით, მღვიმის ჭერიდან ჩამოცვენილი მსხვილი ლოდები გვხვდება, როგორც მღვიმის შიგნით, ასევე მის წინა ნაწილში გათხრილ ფართობზე [14]. მღვიმის შესასვლელში გათხრილი ფართობის სტრატიგრაფია ჯერ კიდევ დაუდგენელია (იხ. სურ. 15), ზედაპალეოლითური ფენები და მასალა არეულია. ქვის ხანის მასალასთან ერთად გამოვლინდა გვიანდელი ენეოლითი, გვიანანტიკური და შუა საუკუნეების დროინდელი კერამიკული მასალაც. ზედაპალეოლითურ ფენაში ქვის კოლექცია მცირეა და ტიპოლოგიურად ინდუსტრიის მთლიანი იერი ადრეულია. ძირითადად წარმოდგენილია ანატკეცლამელებით. ძალიან მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი მიკროლითები. ნედლეულად გამოყენებულია კაჟი. ობსიდიანის ნივთი მხოლოდ ორია. წინა ფართობზე გამოვლენი შუაპალეოლითურ ფენაში ქვის 36 ნივთი, ადამიანის კბილის ფრაგმენტი და დიდი რაოდენობით ფაუნისტური მასალა აღმოჩნდა. ქვის კოლექცია წარმოდგენილია კაჟით, რიყის ქვებითა და კენჭებით (იხ. სურ. 16–17).

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ მასალის დიდი ნაწილი იარაღზე მოდის, რომელთა შორის ჭარბობს წაგრძელებული წვეტანები,

ე.ი. ე.წ. სანადირო იარაღები. წინასწარ შესწავლის საფუძველზე მასალა ლევალუაური ფაციის ტიპიურ მუსტიეს წააგავს. თუმცა, მასალის მცირერიცხოვნობის გამო დასკვნების გამოტანა ნაადრევია [15].

განათხარი სედიმენტის რეცხვისას აღმოჩნდა ადამიანის კბილი. იგი ძლიერადაა დაზიანებული, შემორჩენილია მხოლოდ ემალი, რაც მის შესწავლას შეუძლებელს ხდის. მღვიმის წინა ფართობზე მოპოვებული პალეონტოლოგიური მასალის დაახლოებით 60% ფრაგმენტულია. მოპოვებული მასალის 99% მღვიმურ დათვს ეკუთვნის. ნაპოვნია დომბის სამი და ირმის ოთხი ძვალი. დათვის ნაშთების სიმრავლის გამო შესაძლოა აქ მონადირეთა დროებითი სადგომი ყოფილიყო ან ამ ადგილს სარიტუალო დანიშნულება ჰქონოდა.

2008 წ. მღვიმეში აღმოჩენილი იქნა დერეფნის კედელზე ამოკვეთილი სიმბოლური გამოსახულება. ნახატი კარგად არ იკითხება. მისი დანახვა გარკვეული ნივთიერებით დაფარვის და შემდეგ ინფრა-წითელი ან ულტრა-იისფერი სხივებით განათების შემდეგაა შესაძლებელი. კედელზე კაცუნას სტილიზებული გამოსახულება იკვეთება, მაღლა აწეული ხელებით. გამოსახულების ქვედა ნაწილი დაფერდებულ X-ის ფორმის დიაგონალურად გადაკვეთის ღარებს წარმოადგენს, ქვედა ნაწილში ორი ღარით, ზედაში კი სამით [16].

უნდო კლდის ჰორიზონტალური, 80 მ სიღრმის დერეფანი ბოლოსკენ საკმაოდ ვიწროვდება, მღვიმე 47 მ სიღრმის ვერტიკალური კარსტული ჭით ბოლოვდება (იხ. სურ. 18). მისი ფსკერი მღვიმის კედლებიდან და ჭერიდან ნაჟური წყლის წვეთების ზემოქმედების შედეგად ლამით არის დაფარული. ჭის დიამეტრი პირთან 7 მ, ხოლო ფსკერზე – 3 მეტრია. კარსტულ ჭაში პირველად ჩასვლა 2006 წ. სპელეოლოგთა ჯგუფის მიერ განხორციელდა. მათ ჭის ფსკერზე ფაუნისტური და ანთროპოლოგიური მასალა მოიძიეს. 2007 წ. კარსტული ჭიდან საჩხერის სამთო ბატალიონის ჯარისკაცების დახმარებით ამოღებული იქნა მასალის კიდევ ერთი ნაწილი. მასალაში აღმოჩნდა მღვიმური დათვის, მგლის, ირმის, შვლის, თხუნელას, ფრინველი და სხვა სახეობები. ანთროპოლოგიური მასალა მიეკუთვნება ადამიანის ორ ინდივიდს.

კარსტული ჭის თაობაზე რამდენიმე ვარაუდი არსებობს: ის შესაძლოა რაიმე სახის რიტუალის შესასრულებელ ადგილად ან ნაგავსაყრელად ყოფილიყო გამოყენებული; ჭაში ფაუნისტური და ანთროპოლოგიური მასალის მოხვედრა შესაძლოა სანიტარული მოსაზრებებით და უსაფრთხოების დაცვით ყოფილიყო

განპირობებული, ადამიანებს მოკლული ცხოველების ნაშთების დამარხვის ან გადაყრის შემთხვევაში, რომ არ მიეზიდათ მტაცებელი ცხოველები. მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ჭაში საგანგებოდ ხდებოდა ნაშთების ჩაყრა, ამყარებს პალეონტოლოგიური მასალის შემადგენლობა, რომელიც მღვიმური დათვის ნაშთების გარდა, რომლის მღვიმეში ბინადრობაც ეჭვს არ იწვევს, ისეთი ცხოველების ძვლოვან მასალასაც შეიცავს, რომელთა მღვიმეებში ცხოვრებაც ძნელი წარმოსადგენია, მაგ: ირემი და შველი [17].

ასევე გაჩნდა კიდევ ერთი მოსაზრება, რომ გეოლოგიურ წარსულში კარსტული ჭის თავი ღია იყო და ცხოველები და ადამიანები შემთხვევით, თავისით ვარდებოდნენ შიგნით. თუმცა ჯერ კიდევ კვლევის საგანს წარმოადგენს ჭის საკითხი.

2010 წ. უნდოს მღვიმეში კვლავ გაგრძელდა სამუშაოები. ჭიდან კიდევ იქნა ამოტანილი მასალა, რაც ჭაში დამონტაჟებული ლიფტის მეშვეობით მოხდა. მღვიმეში კიდევ გაითხარა ორი კვადრატი იმის დასადგენად, თუ რამხელა ფართობზე ცხოვრობდა ადამიანი და ათვისებული ჰქონდა თუ არა მღვიმის უკანა ფართი. მღვიმე ამჟამად საკმაოდ სველია და მასში დღევანდელ პირობებში ცხოვრება შეუძლებელია, მაგრამ როგორც ჩანს, იმ დროს, როცა იქ ადამიანი ცხოვრობდა, საკმაოდ მშრალი იყო. მღვიმის წინა ფართობზეც გაითხარა, როგორც მანამდე გაკეთებული ჭრილები, ისე ახალი კვდრატები. ახალი კვადრატები 2-2 და 1-1 მეტრიანები იქნა აღებული. 2-2 მ კვად–რატში აღმოჩნდა მღვიმის დათვის მთლიანი თავის ქალა და სხვა ნაშთებიც.

მღვიმე ჯერჯერობით თარიღდება შუადან ზედა პალეოლითზე გარდამავალი ხანით, რადგან მღვიმის კვლევა ჯერ არ დამთავრებულა.

## 6. ბონდის მღვიმე

ბონდის მღვიმე მდებარეობს ქ. ჭიათურიდან ჩრდილო-დასავლეთით 6 კმ-ის დაშორებით, სოფ. წირქვლის ტერიტორიაზე, თაბაგარის ღელის მარცხენა ნაპირზე, მდინარის კალაპოტიდან 30 მ და ზღვის დონიდან 477 მ სიმაღლეზე. მღვიმე აღმოჩენილია 2007 წ. პროფ. ნ. თუშაბრამიშვილის მიერ. მღვიმე სოფლების წირქვალისა და თაბაგრების დამაკავშირებელ ბონდის ხიდთან მდებარეობს (იხ. სურ. 19), რომლის ერთი საყრდენიც ზუსტად მღვიმის თავზეა გამართული. ბინდის ხიდთან სიახლოვის გამო შეერჩა მღვიმეს ეს სახელი. ბონდის მღვიმის საერთო ფართი დაახლოებით 101 $მ^2$-ია, ორიენტირებული ჩრდილო-სამხრეთის ხაზზე, შესასვლელი სამხრეთის მხრიდანაა, სიმაღლე შესას-

ვლელთან 9 მეტრამდეა, მღვიმის სიღრმე 11 მ, სიგანე 7 მ (იხ. სურ. 20).

მღვიმეში აღებული იქნა ნულოვანი ხაზი და გაკეთდა კვადრატების ბადე 1-1. სულ გაითხარა 9 კვადრატი და გამოვლინდა 7 ლითოლოგიური ფენა. მათი სიმძლავრე 2.4 მ-ია. გათხრილი ფართობის მაქსიმალური სიღრმე ნულოვანი წერტილიდან 3.3 მ-ია. აღნიშნული ფენებიდან პირველ ფენაში წარმოდგენილია ნეოლითის ან ენეოლითის, გვიანბრინჯაო-ადრერკინის და შუასაუკუნეების პერიოდის კერამიკული მასალა, ხოლო დანარჩენ 6 ფენაში ზედა პალეოლითის სხვადასხვა საფეხურის მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მასალა [18]. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დიდი ფენა გაითხარა, დედაქანამდე დასვლა ვერ მოხერხდა (იხ. სურ. 21). არაა გამორიცხული, რომ შეუსწავლელ ფენებში უფრო ადრეული ხანის მასალაც აღმოჩნდეს.

ბონდის მღვიმის ქვის კოლექცია საკმაოდ მდიდარია. ნედლეულად ძირითადად კაჟია გამოყენებული. მხოლოდ 63 ნივთია ობსიდიანის და 22 ანდეზიტის, ბაზალტის და არგილიტის. მღვიმე ყველაზე ინტენსიურად მეორე, მეოთხე და მეხუთე ფენების დალექვის პერიოდში იყო ათვისებული [19] (იხ. სურ 22-23).

ქვის ინდუსტრია საერთო იერით მისგან რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ ძუძუანას მღვიმის მასალას ჰგავს, თუმცა ბონდის მასალა ძირითადად არამიკროლითური, ლამელარულია. მღვიმის სხვადასხვა ფენაში ძვლის ნივთებიც აღმოჩნდა (იხ. სურ. 24-25): ბევრ მათგანს დამუშავების შედეგად დატანილი ნაკაწრები აქვს შემორჩენილი; რამდენიმეს ზედაპირი ხანგრძლივი სარგებლობის შედეგად აქვს გაპრიალებული და სადგისს წააგავს; ერთი გახეხილ-გაპრიალებული წვეტანა თუ საჭრისია, ერთიც ორნამენტირებული, სამწახნაგა დამწვარი ძვლის ფრაგმენტია, წიწვოვანი ორნამენტი ნივთის ერთ გვერდზეა გამოსახული, ის ერთმანეთისაგან თანაბარი მანძილით დაშორებული წყვილი წიწვებისაგან შედგება, შესრულებულია ამოკაწვრით. ყველა ფენა დიდი რაოდენობიტ ძვლოვან ნაშთს შეიცავს. ფაუნისტური ნაშთები 11 სახეობას აერთიანებს. მტაცებლებიდან წარმოდგენილია: მცირე ზომის კატა, გარეული ტყის კატა, მგელი და მურა დათვი. კენტჭლიქოსნებიდან წარმოდგენილია: ცხენის განმარხებული ნაშთი. წყვილჭლიქოსნებიდან: ღორი, შველი, ირემი, არჩვი, ჯიხვი და ბიზონი.

მიკროფაუნისტური ნაშთებიდან წარმოდგენილია: ძირითადად მინდვრის და ბუჩქნარის მემინდვრია, ერთი წყლის, ერთი პრომეთეს თაგვი, ერთი ომანი. ყველა სახეობა დღემდეა შემორჩენილი.

ბონდის მღვიმიდან მომდინარე მიკროფაუნისტური მასალა 3 კატეგორიად იყოფა; 1) ტყისა და მისი ზედა საზღვრების ბინადარნი; 2) მშრალი, ნახევრადმშრალი და ტენიანი სტეპების ბინადარნი; 3) ალპური და სუბალპური ზონის ბინადარნი [20].

მეხუთე ფენაში აღმოჩნდა ბავშვის სარძევე კბილი (იხ. სურ 26). პატარა ზომისაა, კვერცხისებური კონტურით. მისი ფესვები გაწოვილია თიღქმის ანატომიურ გვირგვინამდე. ცემენტ-მინანქრის მიჯნაზე ჩანს კარგად შესამჩნევი შევიწროება, რაც ჩვეულებრივ თანამედროვე ადამიანის სარძევე კბილებს არ ახასიათებს.

დიდი რაოდენობით მასალის და წარმოების გადანაყარის აღმოჩენით და ასევე ადამიანის კბილის პოვნით შეგვიძლია დარწმუნებით ვივარაუდოთ, რომ მღვიმე წარმოადგენდა ადამიანის მუდმივ საცხოვრისს და არა დროებით სადგომს ან სახელოსნოს. ლითოლოგიური ფენების დალექვაზე დაკვირვებით აშკარაა, რომ მღვიმე დიდი ხნის განმავლობაში ინტენსიურად იყო ათვისებული.

მღვიმეში პალინოლოგიური მასალის დასადგენად 6 ფენიდან 11 სინჯი იქნა აღებული. ყველა სინჯი შეიცავს პალინოლოგიურ მასალას [21]. სულ ხემცენარის 11 სახეობის და 32 ბალახოვნის მტვრის მარცვალია აღმოჩენილი. მცენარეთა მტვრის და სპორების გარდა, კარგადაა წარმოდგენილი არაპალინოლოგიური ნამარხები: მერქნის პარენქიმული უჯრედები და ეპიდერმისი, მცენარეული წარმოშობის ბოჭკო, სოკოს სპორები, მწერების და ფეხსახსრიანთა მიკრონაშთები, ცხოველის ბეწვი და სხვ. [22]. არაპალინოლოგიური ნამარხებიდან ჭარბობს სელის ბოჭკო (იხ სურ. 27) და ძაფების მიკრონაშთები. აღმოჩნდა დაგრეხილი და შეღებილი ბოჭკოები, ბევრია ჯიხვის მატყლის ნაშთი, არის ვარდისფრად შეღებილი მატყლიც. ამავე ფენაში აღმოჩნდა სოკოს სპორები, რომელიც ტექსტილს უჩნდება და შლის მას. პალინოლოგიური მასალის შესწავლით ირკვევა, რომ ბონდის მღვიმის არეალში კლიმატური პირობები უფრო რბილი და თბილი მეორე ფენისა და მესამე ფენის ზედა ნაწილის ფორმირებისას იყო, ამ აღნიშნულ პერიოდში მღვიმის ირგვლივ ფიჭვი, თელა, რცხილა, თხილი, ნეკერჩხალი და სხვა უფრო სითბოსმოყვარული მცენარეები ხარობდა. მეოთხე-მეექვსე ფენების ფორმირების დროს კლიმატური პირობების გამკაცრებაზე მეტყველებს მაღალმთიანი ზონისთვის დამახასიათებელი მცენარეების მტვრის რაოდენობის ზრდა.

ბონდის მღვიმის წინასწარული თარიღებია 35.000-10.000 წწ., თუმცა შემდგომი კვლევებისას შეიძლება შეიცვალოს.

ჭიათურის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მღვიმეები ძალზედ საინტერესო მასალებს შეიცავს, მაგრამ მათგან რამდენიმე გან-

საკუთრებულია თავისი მნიშვნელობით. მათ მოწინავე ადგილი უკავია ამ რეგიონის კვლევაში. ჯრუჭულის მღვიმეში დაფიქსირებულია გვიანი და ფინალური შუა პალეოლითი, ამ ძეგლის შესწავლამ ძალიან დიდი ინფორმაცია მოგვცა შუა პალეოლითზე, მის განვითარებაზე, ამ პერიოდში გავრცელებულ ქვის იარაღის ტიპებზე, რაც მთავარია, აქ აღმოჩნდა პალესტინელი წარმოშობის ნეანდერტალელის კბილი. იგი ყველაზე ახლო მდგომი სახეობაა თანამედროვე ადამიანთან. სამწუხაროდ, სამგლე კლდეში ზედა პალეოლითური ფენა განადგურებულია და მისი შესწავლა ვერ მოხერხდა, მაგრამ შუა პალეოლითური ფენა კარგადაა შემონახული, ამ მღვიმეში ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენა არის გიგანტური ირმის ნაშთები, რაც ძალზედ იშვიათია საქართველოს ფაუნისთვის. ჯიეთის ღია სადგომი მიუხედავად იმისა, რომ პალეოლითური ფენები ცოტაა შემორჩენილი ერთ-ერთ მოწინავე ადგილს იკავებს პალეოლითურ ძეგლებს შორის, იგი არის შუა პალეოლითის პერიოდის ღია სადგომი, რაც ძელზე იშვიათია. შუადან ზედა ზედა პალეოლითზე გარდამავალი პერიოდის ძეგლებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ორთვალა კლდე, ძეგლზე დაფიქსირებულია შუა და ადრე ზედა პალეოლითის უწყვეტი კულტურულ-ქრონოლოგიური სვეტი. მღვიმეში ასევე აღმოჩნდა ნეანდერტალელის კბილი, რომელიც ძალიან ჰგავს ჯრუჭულაში აღმოჩენის კბილს. უნდოს მღვიმე უკანასკნელ წლებში აღმოჩენილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მღვიმეა, მისი შესწავლა ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ მან უკვე მიიქცია მეცნიერთა ყურადღება, აქ აღმოჩენილი კარსტული ჭა დიდძალი ინფორმაციის მომცემია, მღვიმეში ასევე აღმოჩნდა ნეანდერტალელის ნაშთები და კედლის მხატვრობის უადრესი ნიშნები. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მღვიმეა ბონდის მღვიმე, აქ აღმოჩნდა ასევე ნეანდერტალელის კბილი, სელის ძაფის ნაშთები და ჯიხვის შეღებილი მატყლი.

გასული საუკუნის დასაწყისში აქტუალურად განიხილებოდა იყო თუ რა კავკასიაში, კერძოდ საქართველოში არა მარტო პალეოლითი არამედ მთლიანი ქვის ხანა. ზოგი ფიქრობდა,რომ არ იყო. ზოგს კი სჯერდა,რომ ქვის ხანაში ეს ტერიტორია დასახლებული იყო და ამის დამამტკიცებელ საბუთებს ეძებდა. სწორედ ამან გამოიწვია დაინტერესება მდ. ყვირილას აუზით.

მდინარეების ყვირილასა და ჯრუჭულას ხეობებში მრავლადაა ბუნებრივი მღვიმეები და ეხები, რაც ყველაზე მეტად სჭირდებოდა პირველყოფილ ადამიანს, რათა გაეძლო იმ ცვალებადი კლიმატური პირობებისთვის, რომელიც დამახასიათებელი იყო პლეისტოცენისათვის. ამ პერიოდში რამდენჯერმე მოხდა აცივება

და დათბობა, აცივების დროს კი ადამიანი მღვიმეებს აფარებდა თავს. XX ს-ს მეორე ნახევარში გაკეთებულმა აღმოჩენებმა საბოლოოდ გააქარწყლა ყველა ეჭვი და დაადასტურა, რომ ზემო იმერეთი პალეოლითში ინტენსიურად იყო დასახლებულ-ათვისებული. აქ აღმოჩნდა ქვედა, შუა და ზედა პალეოლითის ხანის ძეგლები და მათი შესწავლა დღემდე მიმდინარეობს. თუმცა, ეს ტერიტორია ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გამოკვლეული და შესაძლოა, ბევრი ძეგლია ისეთი, რომელიც ჯერ კიდევ ელოდება არქეოლოგებს.

დღეისთვის კი პალეოლითის კვლევის მიზანს და ჯერ კიდევ გაურკვეველ მეტად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მისი ძირითადი ქრონოლოგიური და კულტურულ-ტექნოლოგიური საფეხურების ცვლის, ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლის მამოძრავებელი ძალების, გზებისა და მიმართულების დადგენა. ეს პრობლემა ეხება ძველი ქვის ხანის ყველა მონაკვეთს, როგორც ქვედადან შუა, ისე შუადან ზედა პალეოლითზე გარდამავალ დროის მონაკვეთებს. მიუხედავად იმისა, რომ ჯრუჭულის მღვიმეში აღმოჩნდა ნენდერტალელის კბილი, ეს არ გვაძლევდა იმის საშუალებას გვეფიქრა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ბინადრობდნენ თუ არა უფრო ძველი ჰომინიდები, მაგრამ დმანისში გაკეთებულმა აღმოჩენამ, რომელიც მსიფლიო მნიშვნელობისაა, დაადასტურა ერთ-ერთი უძველესი ადამიანის სახეობის არსებობა ჩვენს ტერიტორიაზე. დღეისთვის უკვე ცნობილია, რომ უძველესი ადამიანები საქართველოში ბინადრობდნენ, ახლა კი საჭიროა კიდევ უფრო გამოვიკვლიოთ მათი საცხოვრებელი ადგი-ლები. ამ ძეგლებისა და კულტურების შემდგომი კვლევა საშუალებას მოგვცემს შესწავლილი იქნას ადამიანის წარმოშობის, განსახლების, თანამედროვე ადამიანის იმიერკავკასიის ტერიტორიაზე გამოჩენის და მათი მიგრაციის გზების საკითხები.

შენიშვნები:

1. დ. თუშაბრამიშვილი. საქართველოს პალეოლითი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე; 37. 1984
2. დ. თუშაბრამიშვილი. საქართველოს პალეოლითი., 37. 1984.
3. დ. თუშაბრამიშვილი. ჯრუჭულას ხეობის გამოქვაბულები. საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები: ტ. 1. 1963. წ. გვ. 168
4. დ. თუშაბრამიშვილი. ჯრუჭულას ხეობის გამოქვაბულები, 1963 წ. გვ. 177
5. დ. თუშაბრამიშვილი. ჯრუჭულას გამოქვაბულში 1960-1961 წლებში ჩატარებული გათხრების შედეგები. საქართველოს გამოქვაბულები და მღვიმეები, ტ. 2. 1963 წ. გვ. 104.
6. დ. თუშაბრამიშვილი. ჯრუჭულას გამოქვაბულში 1960-1961 წლებში ჩატარებული გათხრების შედეგები, გვ. 106
7. დ. ოჩიაური. ყვირილის ხეობის მცენარეული საფარის მოკლე დახასიათება (ხელნაწერი 1991).
8. დ. ოჩიაური. 1991
9. დ. ოჩიაური. 1991
10. ა. ჯანაშვილი. ზოოგეოგრაფია. თბ. 1964
11. ა. ჯანაშვილი. 1964
12. ნ. თუშაბრამიშვილი. პირველი სიგნალი ჯიეთის პალეოლითური ღია სადგომიდან. არქეოლოგიური ჟურნალი. № 3. თბ. 2004. გვ. 10.
13. ნ. თუშაბრამიშვილი. დასავლეთ საქართველოს შუა პალეოლითი და მისი ზედა პალეოლითზე გადასვლის ეტაპები (ორთვალა კლდის მასალების მიხედვით). სადისერტაციო მაცნე. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებ-ლად. გვ. 24
14. ნ. თუშაბრამიშვილი. პალეოლითური სადგომის უნდო კლდის კვლევის წინასწარული შედეგები. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საბუნებისმეტყვტყველო და პრეისტორიული სექცია. № 1, 2009. გვ. 52
15. ნ. თუშაბრამიშვილი. პალეოლითური სადგომის უნდო კლდის კვლევის წინასწარული შედეგები. № 1. 2009. გვ. 52
16. ნ. თუშაბრამიშვილი. პალეოლითური სადგომის უნდო კლდის კვლევის წინასწარული შედეგები. № 1. 2009. გვ. 54
17. ნ. თუშაბრამიშვილი. პალეოლითური სადგომის უნდო კლდის კვლევის წინაწარული შედეგები. № 1. 2009. გვ. 56
18. ნ. თუშაბრამიშვილი. რიონ-ყვილილას აუზის ძველი ქვის ხანის შემსწავლელი საერთაშორისო ექსპედიციის მიერ 2007

წ. ბონდის მღვიმეში ჩატარებული კომპლექსური კვლევის შედეგები. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. № 1. 2009. გვ. 10
19. ნ. თუშაბრამიშვილი. რიონ-ყვილილას აუზის ძველი ქვის ხანის შემსწავლელი საერთაშორისო ექსპედიციის მიერ 2007 წ. ბონდის მღვიმეში ჩატარებული კომპლექსური კვლევის შედეგები. № 1. 2009. გვ. 11
20. ნ. თუშაბრამიშვილი. რიონ-ყვირილას აუზის ძველი ქვის ხანის შემსწავლელი საერთაშორისო ექსპედიციის მიერ 2007 წ. ბონდის მღვიმეში ჩატარებული კომპლექსური კვლევის შედეგები. № 1. 2009. გვ. 16
21. ნ. თუშაბრამიშვილი. რიონ-ყვირილას აუზის ძველი ქვის ხანის შემსწავლელი საერთაშორისო ექსპედიციის მიერ 2007 წ. ბონდის მღვიმეში ჩატარებული კომპლექსური კვლევის შედეგები. № 1. 2009. გვ. 17
22. ნ. თუშაბრამიშვილი. რიონ-ყვირილას აუზის ძველი ქვის ხანის შემსწავლელი საერთაშორისო ექსპედიციის მიერ 2007 წ. ბონდის მღვიმეში ჩატარებული კომპლექსური კვლევის შედეგები. № 1. 2009. გვ. 18

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. თუშაბრამიშვილი დავით, არქეოლოგიური დაზვერვები მდ. ყვირილას ხეობაში, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXIII-B, 1962
2. თუშაბრამიშვილი დავით, საქართველოს პალეოლითი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, № 37, თბ. 1984
3. თუშაბრამიშვილი დავით, ჯრუჭულას ხეობის გამოქვაბულები, საქართველოს გამოქვაბულები და მღვიმეები, ტ. 1, თბ., 1963
4. თუშაბრამიშვილი დავით, ჯრუჭულას გამოქვაბულში 1960-1961 წლებში ჩატარებული გათხრების შედეგები. საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები, ტ. 2, თბ., 1963
5. თუშაბრამიშვილი დ., თვალჭრელიძე მ., ლორთქიფანიძედ. და ბუაჩიძე ც., ორთვალა კლდის პალეოლითური ნაბინავარი. ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტი. თბ., 1992
6. თუშაბრამიშვილი დ., ჯავახიშვილი გ., თუშაბრამიშვილი ნ., 1986 ყვირილის აუზის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ

1980-1981 წლებში წარმოებული სამუშაოების შედეგები. კრ: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, ტ. 8, გვ. 5-16, რეზიუმე რუსულ ენაზე [MFN: 263742]. UDC: 902/904(479.22)

7. თუშაბრამიშვილი ნიკოლოზ, მრავალფენიანი პალეოლითური სადგომის – ორთვალა კლდის შესწავლის ძირითადი შედეგები, არქეოლოგიური კრებული, I, თსუ, 1994.
8. თუშაბრამიშვილი ნიკოლოზ, პირველი სიგნალი ჯიეთის პალეოლითური ღია სადგომიდან, არქეოლოგიური ჟურნალი, № 3, თბ., 2004
9. თუშაბრამიშვილი ნიკოლოზ, დასავლეთ საქართველოს შუა პალეოლითი და მისი ზედა პალეოლითზე გადასვლის ეტაპები (ორთვალა კლდის მასალების მიხედვით). სადისერტაციო მაცნე ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1994
10. თუშაბრამიშვილი ნიკოლოზ, ზედა პალეოლითური ხანის მასალები სამგლე კლდის მღვიმიდან, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXXIX-B. თბ., 1987
11. თუშაბრამიშვილი ნიკოლოზ, ზემო იმერეთის მღვიმეები და ზედა პალეოლითელ ადამიანთა სამეურნეო საქმიანობა, საქართველოს ერვნული მუზეუმის მოამბე, I, (46-B), თბ., 2010.
12. თუშაბრამიშვილი ნიკოლოზ, დასავლეთ საქართველოს რამდენიმე შუა პალეოლითური ძეგლის ხელახალი დათარიღებისათვის, ძეგლის მეგობარი, 3 (110), თბ., 2000
13. თუშაბრამიშვილი ნიკოლოზ, საქართველოს ძველი ქვის ხანის არქეოლოგიისა და ზემო იმერეთის მღიმეების კომპლექსური კვლევის ძირითადი პრობლები, „ხორნაბუჯი", № 1, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2010
14. თუშაბრამიშვილი ნ, პლოღდო დ., მონსელი მ-ე., აღაპიშვილი თ., ბუხსიანიძე მ., ყვავაძე ე., მუსხელიშვილი ა., რიონ-ყვირილას აუზის ძველი ქვის ხანის შემსწავლელი საერთაშორისო ექსპედიციის მიერ 2007 წ. ბონდის მღვიმეში ჩატარებული კომპლექსური კვლევის შედეგები, საქართველოს ეროვნული მუზემი, „მოამბე", საბუნებისმეტყველო-პრეისტორიული სერია, № 1. თბ., 2009
15. თუშაბრამიშვილი ნ., აღაპიშვილი თ., ბუხსიანიძე მ., გოცირიძე თ., მონსელი მ-ე., პლოღდო დ., უნდო კლდის შუა პალეოლითური სადგომი, საქარველოს ეროვნული მუზეუმი, „მოამბე", საბუნების-მეტყველო-პრეისტორიული სერია, № 1, თბ., 2009
16. აფაქიძე ანდრია, ქვის ხანის არქეოლოგიური ძეგლები. საქართველოს არქეოლოგია, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1959

17. ოჩიაური დ., ყვირილის ხეობის მცენარეული საფარის მოკლე დახასიათება (ხელნაწერი), 1991
18. ჯანაშვილი არჩილ, ზოოგეოგრაფია. თბ., 1964
19. ჯაფარიძე ოთარ, ქვის ხანა, საქართველოს არქეოლოგია, თსუ, თბ., 1991
20. Тушабрамишвили Н., Взаймоотношение Среднего и Верхнего Палеолита в Ортвала Клде, Человек и Природа в Древнекаменном Веке, Тб., 1990, сс. 18-21
21. Тушабрамишвили Н., Палеолитическая стоянка Самгле Клде, Палеолит Кавказа и сопредельных Территории. Тб., 1990, Стр. 51-54.
22. Tushabramishvili Nikoloz, Lower Palaeolithic industries in Southern Caucasus, L'Anthropologie, Volume 107, 2003, pp. 565-576
23. Tushabramishvili Nikoloz, A Paleolithic Habitation Site, Reunion del Cuaternario Iberico, Facultad de Ciencia Geologicas Universidad Comlatense. Resumenes. Madrid. 1989
24. Tushabramishvili Nikoloz, Some Middle and Upper Palaeolithic Sites of Western Georgia, Archaeology of the South Caucasus, Near Eastern Studies, Supplementary book, № 19. Peeter's, 2007
25. Tushabramishvili N. and Adler D.S., The Latest Neanderthals of the Southern Caucasus, New Dates and New Data from Ortvala Klde, the Georgian Republic, Journal of Human Evolution, V.42. A1-A2, 2002
26. Tushabramishvili N. and Adler D.S., Middle Paleolithic Patterns of the Settlement and Subsistence in the Southern Caucasus, In Settlement Dynamics of the Middle Paleolithic and Middle Stone Age, edited by N.J.Conrad, Publications in Prehistory, Kerns Verlag Tübingen, pp. 91-132, 2004
27. Tushabramishvili N, Adler D., Lordkipanidze D., Vekua A., Tvalchrelidze M. and Muskhelishvili A., The Paleolithic occupations at Ortvala Klde and the bearing on the prehistoty of Transcaucasia, Journal of Human Evolution, 38/4, 283, 2000
28. Tushabramishvili N, Adler D.S. and Bar-Oz G., The Latest Neanderthals of the Southern Caucasus, New Dates and New Data from Ortvale Klde, the Georgian Republic, UISPP, 2003
29. Tushabramishvili N, Adler D.S., Bar-Oz G. and Meshveliani T., Preliminary results from Ortvala Kldae and Dzudzuana, ICAZ, 2003
30. Tushabramishvili N, Adler D.S., Bar-Yosef O. and Belfer-Cohen A., Current Middle&Upper Paleolithic research in the Southern Caucasus, Antiquity, V.76. 294, 2002
31. Tushabramishvili N, Pleurdeau D., Nioradze Medea De Lumley H., Les Cultures mousteriennes Caucasien de Georgie, L'Anthropologie, 2005

32. Tushabramishvili N, G.Bar-Oz, D.S.Adler, T. Meshveliani, A.Belfer-Cohen and O. Bar-Yosef. 2003. Middle and Upper Paleolithic hunters in the Southwest Caucasus: Preliminary results. ICAZ 2002.
33. Tushabramishvili N, G.Bar-Oz, D.S.Adler, T. Meshveliani, A.Belfer-Cohen and O. Bar-Yosef. 2002. Middle and Upper Paleolithic Foragers of the Southwest Caucasus: New Faunal Evidence from Western Georgia. Archeology, Ethnology Anthropology of Eurasia 4 (12) pp. 45-51
34. Tushabramishvili N, G.Bar-Oz, D.S.Adler, T. Meshveliani, A.Belfer-Cohen and O. Bar-Yosef. 2002. Middle and Upper Paleolithic Foragers of the Southwest Caucasus: New Faunal Evidence from Western Georgia. Problemy kamennogo veka Srednei I Tsentralnoi Azii (Problems of Stone Age in Middle and Central Asia).pp 225-231. Institut Arkheologii I Ethnografii SO RAN, Novosibirsk
35. Tushabramishvili Nicholas and Liliane meignen. 2010. Djruchula Cave, on the Southern Slopes of the Great Caucasus: An Extension of the Near Eastern Middle Paleolithic Blady Phenomenon to the North. Journal of The Israel Prehistoric Society 40 (2010), 35-61
36. Tushabramishvili N, L.Meignen, O.Bar-Yosef. 2006. Djruchula cave on the southern slopes of the Great Caucasus: an extension of the Near Eastern Middle Palaeolithic blady phenomenon to the North.
37. Tushabramishvili N, N. Mercier, H. Valladas, L.Meignen, J-L. Joron, D. Adler and O. Bar-Yosef. 2010. Dating Early Laminar Middle Paleolithic Industry in Djruchula, Republic of Georgia. In Press: To be submitted to Journal of Archaeological Science
38. Tushabramishvili N, O.Bar-Yosef, A.Belfer-Cohen, T.Meshveliani, D.S.Adler, E.Boaretto, N.Mercier and S.Weiner. 2002. The Middle-Upper boundary in the Western Caucasus. Journal of Human Evolution. V.42. A4-A5.

სურ. 1 (ჯრუჭულას მღვიმე)

სურ. 2


ჯაჭვული
Djruchula Cave
1:40
a b c d e f g h i k l m n o p
18
17
16
15
14
13
12
11
10
9
8
7
6
5
4
3
2
1
14-12
12-14
N
1 0 1 2м

სურ. 3 (გეგმა)

სურ. 4



სურ. 5

სურ. 6

სურ. 7 (ორთვალა კლდე)

სურ. 8

სურ. 9

სურ. 10

სურ. 11

სურ. 12 (უნდო კლდე)

სურ. 13

სურ. 14




სურ. 15 (წინა ფართობის გეგმა)

სურ. 16

სურ. 17



სურ. 18

სურ. 19



სურ. 20 (ბონდის მღვიმე)

სურ. 21

სურ. 22

სურ. 23

სურ. 24

სურ. 25

სურ. 26

სურ. 27